განმარტებითი შენიშვნები

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის 07 თებერვლის N029928 ბრძანებით დახარვეზდა ჩვენს მიერ წარმოდგენილი 2019-2020 წლის ანგარიშგება აღნიშნულზე ჩვენი მხრიდა განხორციელდა ცვლილებები თარიღებთან მიმართებაში, ხოლო აღნიშნული გარემოება განხორციელდა იმ მიზეზით რომ 2019 წელში არ იყო წარდგენილი ბუღალტრული ანგარიშგება იქედან გამომდინარე რომ 2019 წლის 14 ივნისის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით N2/1145-19 დაწყებული იყო ჩვენი ორგანიზაციის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შესაბამისად ძირითად საქმიანობას (ხორბლის გადამუსავება ფქვილისა და ქატოს წარმოება) არ ვახორციელებდით, ამასთანავე ცნობისათვის მიმდინარე პერიოდშიც მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ჩვენს მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 19 აგვისტოს განჩინებით №2/1540-20 შესაბამისად დღეის მდგომარეობით ძირითად საქმიანობას (ხორბლის გადამუსავება ფქვილისა და ქატოს წარმოება) არ ვახორციელებთ.

Micheil Malakmadze

Digitally signed by Micheil Malakmadze
DN: cn=Micheil Malakmadze, serialNumber=61006058895, o=Citizen, c=GE
Date: 2022.02.19 12:44:03 +04'00'

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	53527	164221	26
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	52418	151992	62633
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	73100
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	7164069	5895675	6308948
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	7270014	6211888	6444707
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	378016
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	9262	0	115934
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	6878349	5988311	5101741
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	178680	181788	715009
სულ ვალდებულებები	7066291	6170099	6310700
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1000	1000	1000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	202723	40789	-715009
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	848016
სულ საკუთარი კაპიტალი	203723	41789	134007
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7270014	6211888	6444707
სულ მოკლევადიანი აქტივები	1000	1000	1000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	592903	698314
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	592903	698314
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	592903	698314
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-35789	-154375
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-217812	-413272
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
ოჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-177368	-222885
სულ საოპერაციო ხარჯები	-430969	-790532
საოპერაციო მოგება	161934	-92218
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	161934	-92218
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	161934	-92218
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	161934	-92218
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	41789	134007
ახალი აქციების გამოშვება (მპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	203723	41789

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	755732	587520
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-866426	-423325
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-110694	164195
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	164221	26
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	53527	164221

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების

წარმოებაში მიღების თაობაზე

2019 წლის 14 ივნისი

ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე – გოჩა დიდავა

განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

განმცხადებელი: შპს „იმპერიალი – 2000“ (ს/ნ 245406635)

დირექტორი: ამირან მალაყმაძე

მოთხოვნა – გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა

სასამართლომ გამოარკვია:

2019 წლის 15 მაისს შპს „იმპერიალი – 2000“-ის სახელით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მომართა დირექტორმა ამირან მალაყმაძემ და შპს „იმპერიალი – 2000“-ის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა მოითხოვა.

განმცხადებლის განმარტებით, შპს „იმპერიალი – 2000“ დაფუძნდა 1993 წლის 01 აგვისტოს. კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენდა ხორბლისა და ხორბლის პროდუქტების გადამუშავება და მისგან მიღებული პროდუქციის რეალიზება. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ შეძლო მოკლე ხანში მოეპოვებინა მომხმარებლისა და კლიენტების ლოიალობა – ხარისხიანი პროდუქტით, დროული მოწოდებითა და მისაღები ფასებით. ფაქტობრივად, დღეის მდგომარეობით, აჭარის ა.რ მასშტაბით კომპანია წარმოადგენს ერთადერთ ფქვილის ადგილობრივ წარმოებას, რომელიც მომხმარებლის ყველაზე მეტი ლოიალობით სარგებლობს და რომელსაც შეუძლია საკუთარი წარმადობით სრულად დააკმაყოფილოს მთელი ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნები. შესაბამისად, კომპანია დაარსების დღიდან თანამშრომლობდა კონტრაქტორებთან და ყოველთვიურად უწყვეტი საწარმოო პროცესით ახდენდა თვეში საშუალოდ 1700 ტონა ხორბლის გადამუშავებას.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კომპანია მთლიანად ქართული ინვესტიციითაა შექმნილი და ტექნოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საწარმოს. მისი შექმნიდან 25 წლის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ იქნა გადალახული კომპანიის წინაშე არსებული გამოწვევები იმ მუდმივ დასაქმებულ 80-მდე საქართველოს მოქალაქესთან ერთად, რომელთა საშუალო ანაზღაურება თვეში მიმდინარე ეტაპზე 800-დან 2500 ლარამდე შეადგენს.

გარდა ზემოაღნიშნული საქმიანობის პროფილისა, კომპანიას საკუთარ ბალანსზე გააჩნია ევროპული სტანდარტების სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობები, საიდანაც შპს „იმპერიალი 2000“ საკმაოდ ნორმალურ შემოსავალს იღებს და მისი წყალობით აჩერებს კვალიფიციური თანამშრომლების გადინებას და ინარჩუნებს ქონებას, რაც მომავალში საქმიანობის განახლება/გაგრძელების აუცილებელი პირობაა.

განმცხადებლის განმარტებით კომპანია ამ ფინანსურ სიძნელეებამდე მივიდა შემდეგი მიზეზების გამო:

1. პრობლემების სათავე გახდა 2006-2011 წლებში, როდესაც შპს „იმპერიალი – 2000“-მა მიიღო ხელისუფლებისაგან თხოვნა/დავალება, 2500 ტონა უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილის უსასყიდლოდ მოსახლეობისათვის გადაცემის თაობაზე. კომპანიამ აღნიშნული ღონისძიების შედეგად მიიღო მილიონობით ზარალი, რომელიც უმძიმეს ტვირთად დააწვა.

2. შპს-ს საკუთრებაში ჰქონდა სარკინიგზო ჩიხი, საბალანსო ღირებულებით 2 მლნ. ლარი და რომლითაც ხდებოდა ძირითადი ნედლეულის ხორბლის შემოტანა ვაგონებით სხვადასხვა ქვეყნიდან, თუმცა შეთანხმებისა და ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე 2011 წელს სახელმწიფოს მიერ აყრილი იქნა ერთ დღეში, ღამით, რამაც კომპანიას ასევე გაუძვირა საწარმოო პროცესი (ავტომობილებით ტვირთის, მით უფრო ხორბლის გადაზიდვა გაცილებით ძვირია, ვიდრე ვაგონებით).

3. ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე მიტაცებულ იქნა ვისოლ პეტროლიუმისა და მერიის მიერ 2500 კვ.მ კომპანიის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, რომლის შესახებაც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი უკვე 8 წელია, მაგრამ ამ ეტაპისათვის პირველი ინსტანციაც კი არ არის დასრულებული. აღნიშნულ მიწაზე კომპანიის სტრატეგიული გეგმის მიხედვით უნდა მომხდარიყო სარეალიზაციო-სასაწყობო პუნქტების მოწყობა, რაც საკუთრების ხელყოფის გამო ვერ განხორციელდა და რამაც ასევე ზიანი მიაყენა კომპანიის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას.

4. 2011 წელს ფინანსური პოლიციის და შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდა სადამსჯელო ოპერაცია და დაუსაბუთებელი საფუძვლით საგადასახადო სანქციების დაკისრება, რომელთა სრულად გადახდამ მნიშვნელოვნად გააღრმავა კომპანიის ფინანსური კრიზისი (გადაუხდელობის შემთხვევაში კომპანიის აქტივს ,,განიავების“ საფრთხე ექმნებოდა).

5. 2016 წელს ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა გამოიწვია რა ეროვნული ვალუტის დევალვაცია, აშშ დოლარის საკურსო ნიშნულმა 1.8-დან მიაღწია 2,5-მდე, რამაც კომპანიას მნიშვნელოვნად შეუმცირა შემოსავლები. ცნობის სახით ხორბლის შეძენა მუდმივად ხორციელდება აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით, ხოლო გადამუშავებული პროდუქტის რეალიზება თავისთავად ხდება ლარში, ამ სხვაობამ კი 2.5 მლნ ლარზე მეტი შეადგინა 2.5-წლიან პერიოდში.

6. გარდა წინა ფაქტისა, მოვალის სასაწყობო მეურნეობის საიჯარო შემოსავლებმა, სწორედ, ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო გამოიწვია არა კლება, არამედ განახევრება, რამდენადაც იჯარის ქირა კონტრაქტორებთან ურთიერთშეთანხმების შედეგად დადგენილია ლარში.

7. გარდა ზემოაღნიშნულისა, 2015-2016 წლების მსოფლიო კრიზისიდან გამომდინარე, რომელიც ხორბალთან მიმართებაში დღემდე გრძელდება, რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის ბაზრებზე გამძაფრდა მარცვლეული კულტურების კრიზისი, რამაც გამოიწვია ხორბლის ფასის მკვეთრად მატება. ფაქტიურად ფასმა 55%-ით მოიმატა, შესაბამისად უნდა გაძვირებულიყო ფქვილის ფასიც, თუმცა საქართველოს ბაზარზე იგივე პროპორციით ვერ მოხერხდა ფქვილის გაძვირება (სახელმწიფო ზომიერი რეგულირების გამო, რამდენადაც ფქვილის გაძვირება მომენტალურად აისახება პურისა და პურპროდუქტების გაძვირებაზე) და რენტაბელობის შემცირების გამო კომპანიამ ვერ მიიღო დაგეგმილი შემოსავალი. შედეგად შეიქმნა საჭიროება იმისა, რომ განვითარების მაგივრად დახარჯულიყო საბრუნავი სახსრები, რამაც კომპანია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის გარეშე დატოვა. ამან კი გამოიწვია კომპანიის მომსახურებაში პრობლემების გაჩენა, კომპანიამ ვეღარ შეძლო სესხის მომსახურება.

8. ამას დაემატა ისიც, რომ მოვალეს თხოვნით, რამდენადაც კომპანიას არ ჰქონდა სურვილი გამხდარიყო ბანკის პრობლემური კლიენტი, ბანკმა განახორციელა რესტრუქტურიზაცია და ნაცვლად პირობების გაუმჯობესებისა, კომპანიას დაუმძიმდა სასესხო ვალდებულებები, ანუ 2017 წელს რესტრუქტურიზაციის შედეგად, იმის მაგივრად რომ სესხის პროცენტი შეემცირებინა და კომპანიისთვის დახმარება გაეწია პრობლემების დაძლევაში, პირიქით გაზრდილ იქნა საბანკო პროცენტი 8-დან 11-მდე, ეს იმ დროს, როცა საკრედიტო ბაზარზე არსებობს საბანკო პროცენტები მხოლოდ 5-6%-მდე აშშ დოლარში.

შპს „იმპერიალი 2000“-ის წარმომადგენლის განმარტებით, ეროვნული ვალუტის დევალვაციის გამო მოვალეს მიადგა შემდეგი ზარალი: 2016 წლის დასაწყისში მოვალის სესხის ოდენობა შეადგენდა 2.8 მლნ აშშ დოლარს ლართან მიმართებაში კურსით 1.9 ნიშნული, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალეს სასესხო ვალდებულება ლარში სესხის აღებისთვის შეადგენდა 5.3 მლნ ლარს. 2016 წლის ბოლოს, ინფლაციის შედეგად 2.8 მლნ აშშ დოლარი, იმის გამო, რომ ეროვნული ლარის კურსმა აშშ დოლართან მიმართებაში მიაღწია 2.5 ნიშნულს, სასესხო ვალდებულებამ ლარში, მთლიანობაში შეადგინა 7.140 მლნ-ს, ხოლო მათ შორის სხვაობამ დაიჭირა 1.840 მლნ. ლარი, ანუ გამოდის რომ ზემოაღნიშნული საყოველთაო და პრივატული კრიზისების ფონზე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ სასესხო ვალდებულება მუდმივი დევალვაციის მიზეზით კომპანიას 1 მლნ 840 ათასი ლარით დაუმძიმდა. ყოველივე ამან კი შპს ,,იმპერიალი – 2000'' ჩააგდო უმძიმეს ფინანსურ და

მატერიალურ მდგომარეობაში. შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიის დამფუძნებელი და მენეჯმენტი ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ამ კრიზისიდან თავის დაღწევა და კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება. საამისოდ მენეჯმენტმა პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადადგა, რამაც განაპირობა უკუპროცესების ფაქტობრივი შეჩერება, კერძოდ, ხორბლის მიწოდებასა და გადამუშავებაზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „პონტო ჯგუფთან“, რომლითაც ფაქტობრივად გამოინახა საბრუნავი კაპიტალი და პარტნიორმა კომპანიამ ვალდებულება აიღო თვეში მინიმუმ 1500 ტონა ხორბლის მიწოდებაზე. მიმდინარეობს მუშაობა ექსპორტის განხორციელების მიმართულებით, რაც კიდევ უფრო გაზრდის საწარმოო მოცულობას, ყოველივე ეს კი კომპანიის შემოსავლების გაზრდის საწინდარია.

შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ჯარიმების, საურავების და სარგებლის პროცენტების დარიცხვის შეჩერება საფინანსო ინსტიტუტის მხრიდან, ასევე გონივრულ გარგლებში განხორციელდება საბანკო დავალიანების დაფარვის ახალი გრაფიკის გაწერა, კომპანიის სრული რეაბილიტაციის ჭრილში, რეალურია, ერთის მხრივ, კრედიტორული დავალიანების სრულად გასტუმრება/დაფარვა, მეორე მხრივ, თანამშრომლების შენარჩუნება, რომელთა უკან მრავალრიცხოვანი ოჯახებია და რაღა თქმა უნდა კომპანიის რეაბილიტაციის პროცესში საბიუჯეტო გადასახადების გადახდა, რაც სახელმწიფოს ხაზინის შევსების და კეთილდღეობის პირობაა. სწორედ აღნიშნული გარემოებები განაპირობებენ იმ ფაქტს, რომ მოვალის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ითხოვს კომპანიის გაკოტრებას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნით და ითხოვს მხოლოდ გაიხსნას გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, რამდენადაც უახლოეს მომავალში მოვალის მიერ როგორც სასამართლოსათვის, ისე კრედიტორებისთვის და მომრიგებელი საბჭოსთვის წარმოდგენილი იქნება რეაბილიტაციის გეგმის პროექტი და ხედვა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული მიზნები და კომპანიის დროებითი კრიზისი დაძლეული. გამომდინარე აღნიშნულიდან, ითხოვენ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნას.

შპს „იმპერიალი – 2000“-ის საკუთრებაშია შემდეგი უძრავი ქონება: 1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საერთო ფართით 28017 კვ.მ. ბათუმში – საბალანსო ღირებულება – 16 810 200 ლარი; 2. მიწის ნაკვეთზე განთავსებული საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები (3 ერთეული), საერთო ფართით 4897.65 კვ.მ. – საბალანსო ღირებულება – 2 214 184.66 ლარი; 3. მიწის ნაკვეთზე განთავსებული დაუსრულებელი შენობები 7 ერთეული, საწყობი საერთო ფართით 3456 კვ.მ., – საბალანსო ღირებულება – 1 532 632.46 ლარი; 4. მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა სამაცივრე დანადგარებით და საოფისე ფართებით (1 ერთეული), საერთო ფართით 1726კვ.მ., – საბალანსო ღირებულებით – 1 103449.54 ლარი; 5. მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობები რეზერვუარები დანადგარ მოწყობილობებით და ინფრასტრუქტურით, საბალანსო ღირებულებით – 1 434319.38 ლარი. სულ ჯამური ღირებულებით 23 094 786.04 ლარი.

მოძრავი ქონება: 1. სხვადასხვა დასახელების ელექტრო-ტექნიკა და საოფისე ინვენტარი – საერთო საბალანსო ღირებულებით 1500 ლარი; 2. ავტოტრანსპორტი (1 ერთეული) – საერთო საბალანსო ღირებულებით 18560 ლარი; 3. თვითმტვირთავი (1 ერთეული) – საბალანსო ღირებულებით 6500 ლარი; სულ 32 362.15 ლარის ჯამური ღირებულებით.

მთლიანობაში კრედიტორების დავალიანების ჯამური ოდენობა შეადგენს 3 275449.73 აშშ დოლარს და 32 224.74 ლარს.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შეტანიდან 5 დღის ვადაში, გარდა ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე, გადახდისუუნარობის საქმე გახსნილად ითვლება განცხადების შეტანის დღიდან.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინებით: ა) ინიშნება მეურვე; ბ) განისაზღვრება კრედიტორთა კრების დღე.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი განცხადება, თანდართული დოკუმენტები და მიაჩნია, რომ განცხადება აკმაყოფილებს ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც მიღებული უნდა იქნეს წარმოებაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5,

მე-6, მე-7, მე-14, მე-15, მე-16, მე-17, მე-19, 21-ე, 25-ე, 26-ე და 29-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „იმპერიალი – 2000“-ის დირექტორის ამირან მალაყმაძის განცხადება შპს „იმპერიალი – 2000“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი – 245406635) მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მიღებულ იქნეს სასამართლოს წარმოებაში;

2. მეურვედ დაინიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო;

3. აეკრძალოს მოვალეს ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე;

4. განემარტოს მეურვეს, რომ იგი ვალდებულია განიხილოს და შეაფასოს მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები, მოამზადოს მოხსენება მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ და წარუდგინოს იგი სასამართლოს. შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან. დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ. თავისი უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად დადოს ხელშეკრულებები და ისარგებლოს მესამე პირების მომსახურებით;

5. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია მეურვეს წარუდგინოს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის წარუდგენლობა, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენა იწვევს წარდგენაზე ვალდებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

6. შეჩერდეს შპს „იმპერიალი – 2000“-ის მიმართ იძულებითი აღსრულება;

7. განემარტოთ კრედიტორებს, რომ ისინი უფლებამოსილი არიან განჩინების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში წარუდგინონ მეურვესა და სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები მათი წარმოშობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად;

8. კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2019 წლის 29 ივლისს 13:00 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს №2 სხდომათა დარბაზში (მისამართი – ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11);

9. განჩინება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე, განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მეურვეს. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე და სასამართლო დაფაზე;

10. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) განჩინების მხარეებისათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში.

მოსამართლე **გოჩა დიდავა**

080210320003795591

საქმე №2/1540-20

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე

2020 წლის 19 აგვისტო

ქ.ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე მანანა ნიკაჭაძე

განმცხადებელი: შპს „იმპერიალი 2000“ (ს/ნ 245406635)
დირექტორი: მიხეილ მალაყმაძე;

მოთხოვნა – შპს „იმპერიალი 2000„-ის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნა.

განიხილა განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2020 წლის 23 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „იმპერიალი 2000“-ის დირექტორმა მიხეილ მალაყმაძემ და შპს „იმპერიალი 2000“-ის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის განჩინებით, ვინაიდან განცხადება არ აკმაყოფილებდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, განმცხადებლს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შევსების მიზნით შპს „იმპერიალი 2000“ დირექტორმა მიხეილ მალაყმაძემ განცხადებით მომართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, სადაც უთითებს, რომ მის მიერ განცხადებაში არსებული ხარვეზი შევსებულია და იგი მიღებული უნდა იქნეს სასამართლოს წარმოებაში.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი განცხადება და თანდართული მასალები, მიაჩნია, რომ განცხადება აკმაყოფილებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ **საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში.**

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინებით ინიშნება მეურვე. აღნიშნული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით მეურვის უფლებამოსილების განხორციელება დაკისრებული აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

სასამართლო გაეცნო განცხადებას, თანდართულ მასალებს და მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „იმპერიალი 2000“-ის განცხადება აკმაყოფილებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და ის მიღებული უნდა იქნას სასამართლოს წარმოებაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-13, მე-14, მე-15, მე-19, 21-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. განმცხადებლის შპს „იმპერიალი 2000“-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ მიღებულ იქნას სასამართლოს წარმოებაში.

2. მეურვედ დაინიშნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ – აღსრულების ეროვნული ბიურო), და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს მეურვეს.

3. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან მოვალეს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე. ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით;

4. შეჩერდეს მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება;

5. **იკრძალება** გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, **შეჩერდეს** ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა. საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

6. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან გადახდისუუნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) საქმის წარმოების პროცესში მოვალის ინტერესებს იცავს მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. განცხადების წარმოებაში მიღებიდან 20 დღის განმავლობაში მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია მეურვეს წარუდგინოს ინფორმაცია მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე. **აღნიშნული ინფორმაციის წარუდგენლობა, ინფორმაციის განზრახ დაგვიანებით ან გაყალბებული სახით წარდგენა იწვევს წარდგენაზე ვალდებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.**

7. განემარტოს მეურვეს, რომ იგი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობაზე თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, **მეურვე ვალდებულია** განიხილოს და შეაფასოს მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები, მოამზადოს მოხსენება მოვალის გადახდისუუნარობის შესახებ და წარუდგინოს იგი სასამართლოს და მომრიგებელ საბჭოს, მოამზადოს და ორგანიზაციულად უზრუნველყოს კრედიტორთა კრება და კრედიტორთა კომიტეტის სხდომა თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში. მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინოს ინფორმაცია სასამართლოს და მომრიგებელ საბჭოს გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე პროცედურების შესახებ;

8. განემარტოს მეურვეს, რომ იგი ვალდებულია შეინახოს სამეურვეო ქონება და დაიცვას იგი დაზიანებისა და განადგურებისაგან, განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურვეო ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვასთან. ამ საკითხზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლო ნებართვას გასცემს

განჩინების ფორმით, დაადგინოს ყველა კრედიტორი და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ. თავისი უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად დადოს ხელშეკრულებები და ისარგებლოს მესამე პირების მომსახურებით. კრედიტორთა პირველ კრებამდე მოიძიოს მოვალის ქონება. მოამზადოს დასკვნა მოვალის მოსაძიებელი ქონების შესახებ, რომლის არსებობაც დგინდება დოკუმენტური საფუძვლით, ასევე მოსაძიებელი ქონების მოძიების გაგრძელების ან შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ და **აღნიშნული დასკვნა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინოს კრედიტორთა კრებას.**

მეურვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასურის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. მომსახურების საფასური ანაზღაურდება სამეურვეო ქონებიდან. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში მეურვის მიერ გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის ინიციატორი ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

9. **განემარტოთ კრედიტორებს,** რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების **გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში კრედიტორებმა მოვალის მიმართ არსებული თავიანთი მოთხოვნები უნდა წარუდგინონ მეურვესა და სასამართლოს.** მოთხოვნებს უნდა ერთვოდეს მათი დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებები. მეურვე უფლებამოსილია პირს, რომელსაც აქვს რაიმე პრეტენზია ან მოთხოვნა მოვალის მიმართ (სავარაუდო კრედიტორს), მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები მის მიერ წარდგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

10. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნეს 2020 წლის 09 ოქტომბერს 12:00 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, დარბაზი №7) შემდეგი დღის წესრიგით:

1. მეურვის ანგარიშის მოსმენა; 2. კრედიტორად აღიარების საკითხის განხილვა; 3. მომრიგებელი საბჭოს წევრების დანიშვნა;

11. განჩინება გამოქვეყნდეს სასამართლოს ვებგვერდზე **www.ecd.court.ge** და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ არაუგვიანეს 2020 წლის 08 სექტემბრისა;

12. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის №11).

მოსამართლე **მანანა ნიკაჭაძე**